წელიწადი მე-2¹. ტელეფონი № 76. ოთხშაბათი, 14 დეკემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადებისათვის:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 507 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 507

## დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. ერთის თვით 1 50 კაპ.

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო“.

რედაქტორი—**ი. თ. ცინცაძე.**
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

---

უზომოდ დამწუხრებულნი ბრბალე ნიკოლოზ ზვიადაძის ასული ალექსანდრე სალარეიშვილი, ნესტორ ნიკოლოზის ძე, სონია ნესტორის ასული და პარმენ ნესტორის ძე ზვიადაძენი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, პირველი საყვარელი მეუღლის, მეორე ძვირფასი ბიძის, მესამე დაუვიწყარი სიძის და მეოთხე და მეხუთე საყვარელი ბიძის

**ანტონ გიორგის ძის სალარეიშვილის**

გარდაცვალებას. გამოასვენებენ 15 დეკემბერს, ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან, ძველი ხონის ქ. დაიკრძალება ოლასკურის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს $5^1/_2$ საათზე. 3—1

---

დრმათ დამწუხრებულნი: ქვრივი ანნა გერმანეს ასული და შვილები მისი: აკაკი, თამარა და თინა; სიდედრი—მართა უანჩაველისა; დები: ვერა ქელივიძისა და ვალია უანჩაველის ასული; ცოლის ძმები: ბაქოსი და ... უანჩაველები; რძალი: მარია უანჩაველისა; ანდრო ქელივიძე; ... გასტანგ და კალისტრატე ჩიჩუები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ პირველი საყვარლის მეუღლის, მეორენი მამისას, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სიძისას, მეშვიდე ქვისლისას და უკანასკნელნი ბიძაშვილისას

**ალექსანდრე სტეფანეს ძის ჩიჩუას**

გარდაცვალებას. უმორჩილესად გთხოვენ პატივი სცეთ და მობრძანდეთ მიცვალებულის გამოსვენებაზე ამა დეკემბრის 15-ს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე. დენერლის ქ. საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველდღე საღ. 5 ს.

---

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ორშაბათიდან, 12 დეკემბრიდან

ომის მიმოხილვა მიმდინარე ამბები

**ქალი, რომელმაც სიკვდილს თვალებში შეხვდა**

დრამა 5 ნაწ. ჩერნოვისა და რადინის მონაწ.

**ანტოშამ სიდედრი დააწუნარა** კომედია 2 ნაწ. ანტონ ფერტონის მონაწ.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან

**რუსის ჯარი სალონიკში** სამხედრო ნამდვილიდან

**უცხო სული**

თანამედროვე დრამა 4 ნაწ.

**ინგლისური კლიტე** სახუმარო

---

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ორშაბათიდან, 12 დეკემბრიდან

ომის მიმოხილვა სამხედრო სანახ.

**2 სერია**

**პანნა მერი**

მხატ. დრამა 4 ნაწ. გზოვსკაიასი და გაიდაროვის მონაწ.

**უბედური მეგობარი** სახუმარო

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები

**აფთრები (ვამპირები)** მე-3 სერია

**გაჭიანურებული სიყვარული** სახუმარო

---

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი

**ქართული კედლის კალენდარი**

**კ. ოცხელის** წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში

ფასი 4 აბაზი.

---

ხუთშაბათს, 15 დეკემბერს, საღამოს ექვს საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია დამფუძნებელი

**კრება**

**„დასავლეთ საქართველოს ლიტერატორთა წრისა“.**

კრებაზე ყველას შეუძლია დაესწროს.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ხურვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

---

**ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული**

**ბებია ს. ს. ნემსაძისა** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, გეგეჭკორის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

---

**ბებია მ. მ. კიკნაძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული,** მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გაღმა გოშპიტლის კარებთან ზვიეშვილის სახლში **მიხეილ კაშიას,** რომელმაც მე მომარჩინა ბოვში უპერაციოთ

**ვარლამ ხუჯაძე.**

---

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუტრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

---

**ს.-მ. ბ. მიწის მზომელი ვ. ს. ასათიანი**

ადგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ. მეგ.“ რედაქცია; ან პროვიზორ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

---

**იყიდება სახლი და მამული** 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მიხეილის ქ. № 113,

**ექიმ გოკიელოვს.**

---

**საჭიროა ბინა 3 5 ოთახიანი.** სასურველია ელექტრონის განათებით და ეზოს შენობებით. მისამართი: სასტუმრო „ფრანცია“, რომ. იაკ. კალნინი

---

**საჭიროა მზარეული კაცი ან ქალი,** აგრეთვე **ბიჭი** 10—14 წლ. მისამართი: *I-ый Садовый переул.*, ეფრემიძის სახლი, ბინა შ. ი. თათქარიშვილისა

---

# მსოფლიო ომი.

(პეტ. დეპ. სააგ.).

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი კოლდიჩევის ტბის მიდამოებში, ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერმა ზარბაზნების სროლა გააჩაღა შებინდებისას, იმავე დროს ჩვენი თხრილებისაკენ წამოვიდნენ თეთრებში გამოწყობილი მოპირდაპირეს მზვერავი რაზმები, მაგრამ თოფისა და ტყვიის მფრქვეველების სროლით თავის სანგრებშივე მივაბრუნეთ.

**კავკასიის ასპარეზი.**

გუმიშხანის დასავლეთით 30 ვერსზე, არ-კუნეის მახლობლად, ჩვენმა მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვეები. ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირე გავდევნეთ ბასტანას ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე სოფლიდან.

**რუმინეთის ასპარეზი.**

რიმნიკ-სარატის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირემ ჩვენს მოწინავე რაზმებს უკან დაახევინა. ცხარე ბრძოლა იყო რაკოვიჩენის და ვადულ-სორესჩის მიდამოებში. ბერლეჩვანეს მიდამოებში, ჩვენი ერთი როტა ღამე შეიჭრა სოფ. როშიორში, დააზიანა 4 ცხენოსანთა ზარბაზანი და მძინარე ესკადრონიც ამოხოცა. კოკიროლეანკიდან წამოსულმა მოპირდაპირის ბატალიონმა ჩვენს როტას ალყა შემოარტყა, მაგრამ ალყა გაარღვია და თან მოკლულ დაჭრილნიც გამოიტაცა. ვიშანთან შემოგვიტია მოპირდაპირის ქვეითა ჯარის მცირე რაზმმა, სტანკუცთან კი ცხენოსანთა რაზმმა, მაგრამ სროლით გავფანტეთ

**დობრუჯში.** ჩვენი ჯარი ჩრდილოეთისაკენ მიიმართება. მოპირდაპირე ფეხდაფეხ მოგვდევს და ჩვენს ზურგის ჯარს ებრძვის.

12 დეკემბერი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მოპირდაპირემ ზარბაზნები და თოფები დაუშინა ჩვენს ხიდისყურის სიმაგრეს სოფ. ბოლდურთან, მერე პატარა რაზმით იერიში მოიტანა, მაგრამ სროლით გავფანტეთ. მდ. ბისტრიცაზე, სოფ. ლიახოვცეს მიდამოებში, ბოგოროდჩანის სამხრეთით, მოპიზდაპირემ ჩვენს სადარაჯოს შემოუტია, მაგრამ ადვილათ მოვიგერიეთ თოფის სროლითა და ხელის ყუმბარებით. სოფელ იაბლონკასთან, ზოლოტვინის დასავლეთით, ჩვენმა მზვერავებმა მოპირდაპირის საველე დარაჯებს ალყა შემოარტყა და რამდენიმე კაცი დაატყვევა. ტყიან კარპატებში, ზარბაზნის დაშენის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მტრის სანგრებზე იერიში მიიტანა მდ. ლუსაჩის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობებზე და ცხარე, ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ აიღო. აქ ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიის მფრქვეველი, 6 აფიცერი და 100 ჯარისკაცი. ჩვენი ჯარი აღებულ ადგილის სამხრეთ ფერდობზე მაგრდება.

**კავკასიის ასპარეზზე**

ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

ბუზეუს მიდამოებში, კასინისა და ზაბავას ველებშუა, მოპირდაპირე მედგრად მოქმედებდა. გალბენულსა და დროგულის მიდამოებში მოპირდაპირემ ცხარე სროლა ასტეხა და რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენს ჯარზე. აქ ცხარე ბრძოლამ მთელ დღეს გასტანა. ბატოგუსა და ვიზირუს მიდამოებში მოპირდაპირის მცირე რაზმების იერიში სროლით შევაჩერეთ.

დობრუჯში მოპირდაპირეს იერიშები მოჰქონდა ისაკჩესაკენ უკან დახეულ ჩვენს ჯარზე იანკას სადგურის მიდამოებში, ბუზეუ ბრაილოვის ხაზზე, გერმანელების ჰაეროპლანი დაეშვა; აფიცერი—მეთვალყურე და 2 ჯარისკაცი დავატყვევეთ.

11 დეკემბერს

**ოდესა.** აქ ცნობა მოვიდა, გერმანელები ბუქარესტ-პლოეშტის ხაზზე მაგრდებიან, ტურნასევერინის გზით აქეთ გადმოუზიდნიათ აუარებელი რკინა-ბეტონი და ეკლიანი მავთული.

**ათინა.** ლიბერალთა პარტიის ბელადმა ასანჯანყებლად მოუწოდა ხალხს. საბერძნეთის კუნძულებზე ყველგან დასწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები ათინასთან შემაერთებელი, რომლებიც მოპირდაპირის

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** ვოლინში და გალიცია-ბუკოვინის ბრძოლის პირზე საპოზიციო ბრძოლა გრძელდება.

**კავკასიის ასპარეზი.** გუმიშხანეს დასავლეთით და ვანის ტბასთან მცირე შეტაკებები ხდება.

**რუმინიის ასპარეზი.** ბუზეოს აღმოსავლეთით ფალკენჰაინის ჯარი მარჯვედ მოქმედებდა. უფრო სამხრეთით გერმანელ-ბულგარელებმა ცხარე სროლა ასტეხეს. დობრუჯაში ბულგარელთა შეტევა გრძელდება.

---

ხელში იყო. გამოაცხადეს დამოუკიდებლობაც. საბერძნეთის მთავრობაც ფხიზლად არის. ლიბერალებს ატუსაღებენ, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროში, საიდანაც მოხელეები. თურმე, ყოველ საიდუმლო განკარგულებას უცხოეთის გაზეთებს აწვდიდნენ ხოლმე. გაზეთების აზრით მთავრობა მოკავშირეთა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, თუ ზომიერებას არ გადასცდება. მთავრობა პელოპონესში ჯარის გადაყვანას აგვიანებს და მოკავშირეთა მოქმედებას უყურებს. საბერძნეთის გარემოცვა თანდათან მჭიდრო რკალს ემსგავსება. საფრანგეთ-ინგლისის წარმომადგენელნი და ძველ საბერძნეთის ქალაქების მცხოვრებნი სამხედრო გემებზე შეიხიზნენ. რუსეთის დესპანი ავადმყოფობის გამო იძულებულია ათინაში დარჩეს. სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი პირეიში მდგომ გემებზე არიან შეხიზნულნი. მოპირდაპირის სათრენმა 4 ამ თვეს კატერინს გადმოუარა და იძულებული გახდა დაშვებულიყო.

გაზეთები ფრანგ მოსახლეობის წინააღმდეგ ხალხს აქეზებენ. ხალხი ჯერჯერობით მეგობრულად უცქერის რუსებს.

**ათინა.** ოფიციალი ცნობები გამოამჟღავნეს, საიდანაც სჩანს, რომ 18 გიორგობისთვიდან 268 ვენიზელოსელი დაუტუსაღებიათ. ამათგან 91 გაუნთავისუფლებიათ.

**ქრისტიანია.** ნორვეგიის ორი გემი დაჰლუპეს „ფალკ"-ი და „არონა" ორივე გემი 3 მილიონ კრონად იყო დაზღვეული.

---

## ქურნალ-გაზეთებიდან.

### სხვა და სხვა ამბები.

ერთ შვედურ გაზეთის გადმოცემით ფელდმარშალ ჰინდენბურგის ადიუტანტს უთქვამს, რომ რუსები ვოლინ-გალიციის ბრძოლის პირს ვერ გაარღვევენო. ამ ადიუტანტის სიტყვით ქ. გალიჩი ისე, როგორც 42 სანტიმეტრიან მძიმე ზარბაზნებით არის აღჭურვილი; თუ ქ. კოველი ფოლადის კლიტითა ჰკეტავს ლვოვისაკენ მიმავალ გზას, გალიჩის სიმაგრეები წარმოადგენენ ჩინურ კედელს, რომელიც ავსტრიას იცავს და რუმინიის ლაშქარს შემოვლისაგან უზრუნველ ჰყოფსო.

— საფრანგეთში ამ ჟამად ჯარში გაწვეული ყოფილა მამაკაცების 20 პროცენტი ამ ომამდე ჯარში გაწვევის ნორმად 8—10 პროცენტი იყო მიღებული.

— რაც ბელგიაში მანქანები და ქარხნების სხვა მოწყობილება ყოფილა გერმანიაში უკვე გაუზიდნიათ. გერმანელები ეხლა მცხოვრებთა გადაყვანას შესდგომიან; გაყვანილნი იქნებიან 60 წლიანებიც.

**ზავის გარშემო.**

— გერმანეთის საახალშენო საზოგადოებას განსაკუთრებული ვრცელი მოწოდება გამოუცია ხსენებულ საზოგადოებას უმეტეს ნაწილს სავაჭრო სამრეწველო წრის წარმომადგენლები შეადგენენ ხსენებული საზოგადოება ზავის აუცილებელ პირობად სთვლის გერმანეთის ახალშენების გაფართოვებას. მარტო აფრიკის ახალშენობა საკმარისი არ არის გერმანეთისთვისო—ჰღაღადებს მოწოდება; გერმანეთი უნდა დარჩეს ძლიერ სახელმწიფოდ, მას ხელმძღვანელი როლი უნდა ეკუთვნოდეს მსოფლიო ბაზარზე; მისი ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა გერმანელებმა ინდოეთის ოკეანეში საიმედო ბაზა-ნავთსადგურები მოიპოვონო.

— იაპონიაში ზავის წინადადებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. იაპონური გაზეთები სწერენ: ჯერ ერთი ზავი შეუძლებელია ამ პირობებში და თუ ეს შესაძლებელია, ჩვენ ეხლავე უნდა ვეცადნეთ და უკეთესად შევიარაღდეთ ყოველ შემთხვევისათვისაო."

— **საბერძნეთი** კურნძულ დემნოსზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აჯანყება მოახდინეს. მათმა წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს ქ. კასტროში; მეფე კონსტანტინე გვირგვინ მოხსნილად სცნეს, რადგანაც მან აჯანყებულთა სიტყვით კონსტიტუციას უღალატა და მით ბერძენთა შორის შუღლი ჩამოაგდო.

— საბერძნეთის მთავრობას უკვე გაუწვევია თესალიიდან ჯარი სამხრეთ საბერძნეთში, რაც შეეხება 18—19 ნოემბრის თავდასხმაში მონაწილეთა დასჯას და მოკავშირეთათვის იარაღის გადაცემას, ამ პირობების შესრულებას, როგორც ეტყობა საბერძნეთი ჯერჯერობით არ აპირებს. ამიტომ მოკავშირეთა წარმომადგენლები მდგომარეობას წინანდებურად მწვავედ სცნობენ.

**ზავის გარშემო.** ცნობილ ფინანსისტს ლეოპოლდ ციმერანს, რომელიც ამერიკაში გერმანეთის მთავრობას ნახევრად ოფიციალურ წარმომადგენლად ითვლება, ამერიკულ გაზეთების თანამშრომლებისათვის განუცხადებია: ზავის ჩამოგდება სულ რაღაც სამი თვის საქმეაო. ამერიკელები ლეოპოლდ ციმერმანის განცხადებას დიდ მნიშვნელობას აწერენ, რადგანაც იგი იმათის აზრით, საიდუმლო ოფიციალურ ცნობებს ემყარება.

— საფრანგეთის მთავრობა ამზადებს განსაკუთრებულ ნოტას, რომელითაც პასუხი უნდა გასცეს გერმანეთს, მის საზავო წინადადებაზე.

---

## ზავის გარშემო.

(პეტ. დეპ. სააგ.)

### ვილსონის წინადადება.

**პარიზი.** შეერთებულ შტატების დესპანმა საგარეო საქმეთა მინისტრს ბრიანს გადასცა პრეზიდენტ ვილსონის ნოტა ომის შეჩერების თაობაზე. წინადადება მეგობრულ კილოთია შედგენილი, იქ ნათქვამია: ეს წინადადება არის არა მარტო მეგობრისა, არამედ ნეიტრალ სახელმწიფოსი, რომლის ინტერესებიც არსებითად დაკავშირებულია ომთან. პრეზიდენტის ზრუნვა ომის მალე დასრულებაზე იმ აუცილობლობით არის გამოწვეული, რომ მას ჰსურს გაითვალისწინოს თავისი ქვეყნის ინტერესები, თუ კი ომი ომის გულისათვის გაგრძელდება. ვილსონი ურჩევს, შესაფერი დრო შეურჩიეთ, როდესაც შესაძლებელი გახდება, რომ მებრძოლმა სახელმწიფოებმა აშკარად დაასახელონ ზავის პირობები, რათა შესაძლებელი გახდეს მათი აწონ-დაწონა. ვილსონი აცხადებს, ჩემთვის სულ ერთია თუ რა გზით მოხდება შეთანხმებაო. იგი არ ასახელებს არც გზას, არც საშუალებას, იგი აღნიშნავს მხოლოდ, რომ ორივე მოპირდაპირე მხარე ერთსა და იმავე მიზანს ისახავს: უზრუნველ იყოს ყველა ერთა უფლება-უპირატესობანი, რაიმე თავდებობა იყოს, რომ მერმისში შეუძლებელი გახდეს ერთი მეორის ჩაგვრა და ომიანობა. ყველა მზათაა განიხილოს საკითხი საერთაშორისო ლიგისა, რომელიც მომავალში მშვიდობიანობას უზრუნველ ჰყოფს. ყველას აზრით ამისთვის უპირველესად საჭიროა ეს ომი შეჩერდეს იმ პირობით, რომ ყველა მებრძოლთა ტერიტორიალური მთლიანობა, პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველ ყოფილი იყოს. შეერთებულ შტატებს არავითარი უფლება არა აქვს ზავის პირობები ურჩიოს, მაგრამ პირადად ვილსონს თავის გარდუალ უფლებად და მოვალეობად მიაჩნია განსაკუთრებით აღნიშნოს, თუ რაოდენად დაინტერესებულია შეერთებული შტატები ომიანობის შეჩერებაში ნეიტრალ სახელმწიფოთა და ცივილზაციის თვალსაზრისით ვილსონის აზრით, მას უფლება აქვს ურჩიოს მეომარ სახელმწიფოებს, რომ დაუყოვნებლივ ერთმანეთს დაუპირდაპირონ თავისი მოსაზრებანი და პირობები რომელიც საფუძვლად დაედება საბოლოო შეთანხმებას საყოველთაო ზავზე, რომელიც ყველასათვის ეგოდენ სასურველია. დღევანდლამდე ორივე მხარის პასუხისმგებელ პირთ ოფიციალად არ განუცხადებიათ თავ-თავისი განსაზღვრული მიზანი და ქვეყნიერებისათვის გამოცანაა, თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს ომს. ნოტა ასე ბოლოვდება: „შესაძლოა" რომ ის პირობები, რომელსაც წამოაყენებენ მებრძოლი სახელმწიფონი, არც ისე მოურიგებელი იყოს, როგორც შიშობენ და აზრთა გაზიარებით მომზადდეს გზა კონფერენციის მოსაწვევად, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს ერთა შეთანხმება". ვილსონი ზავის მოციქულად კი არ გამოდის, იგი მხოლოდ ნიადაგს ჰსინჯავს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არიან მებრძოლი სახელმწიფონი მოწადინებულნი იმ ზავსა, რომელსაც თანდათანის ძლიერებით ესწრაფვის კაცობრიობა.

### ფრანგული გაზეთების აზრი.

**პარიზი.** ვილსონის წინადადებას ფრანგული გაზეთები პატივისცემით მიეგებნენ, როგორც მნიშვნელოვან დიპლომატიურს ნაბიჯს ზნეობისა და კაცთმოყვარეობის მხრივ. მოკავშირეთა ერთსულოვანი განცხადება დაბრკოლებას არ წარმოადგენსო მომავალი ზავის სიმტკიცე გერმანეთის დამარცხებით მოიპოვება, როდესაც უფლება ძალაზე მაღლა დადგება. ამის გამო გაზეთები მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ პრეზიდენტი ვილსონი, ეს გამოჩენილი იურისტი, ივიწყებს ომის მიზეზებს და ერთს დონეზე აყენებს მებრძოლ მოპირდაპირეებს-თავის მიწა-წყალის დამცველთა და შემოსეულ დამპყრობთ, რომელიც ფეხქვეშ სთელავს უფლებას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მოკავშირეთა საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელნი მოითხოვენ სრულს დაკმაყოფილებას და სრულ გარანტიას.

### ინგლისური გაზეთების აზრი.

**ლონდონი.** ვილსონის წინადადების გამო ინგლისურ გაზეთებს გაბრაზებული გაოცება ეტყობათ გაზეთების უმეტესობას ეჭვი არ შეაქვს ვილსონის გულწრფელობა მიუდგომლობაში, მაგრამ შეუწყნარებლად მიაჩნიათ, რომ იგი განსხვავებას არა ჰხედავს მოკავშირეთა და მათ მოპირდაპირეთა შორის, თითქოს არ იცოდეს, თუ ვინ არის ომის მიზეზი. გაზეთები ერთხმად აღიარებენ, მოლაპარაკება შეუძლებელია, სანამ გერმანეთი არ გამოტყდება, რომ იგი იყო დამცემი მხარე და სანამ დაპყრობილ ქვეყნებს არ დასტოვებს. ზოგიერთი გაზეთები გაიხსენებენ ამერიკის შინაურს ომს როდესაც ლინკოლმა უარჰყო ინგლისის ჩარევა საქმეში და [illegible]. მოკავშირეებმაც უნდა უარყონ ვილსონის წინადადებაო. მათის აზრით [illegible] შეუწყნარებელია, რომ [illegible] ტებმა საწერ მან[illegible] დონ მოკავშირეთა საქმეში ჩარევა და ნელი შეუშალონ მოკავშირეებს, რომ თავისუფლებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა ზარბაზნების საშუალებით მოიპოვონ.

### ფრანგ დეპუტატების აზრი.

**პარიზი.** ვილსონის წინადადებამ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია პარლამენტის კულუარებში. დეპუტატები ერთხმად პატივისცემით იხსენიებენ ვილსონის კეთილშობილურ გრძნობით გამოგზავნილ ნოტას მათის სიტყვით, საფრანგეთი უძველეს დროიდანვე აფასებს შეერთებულ შტატების მშვიდობიან მეგობრობას. საყოველთაო იდეალი სამართლიანობა და თავისუფლებაა, რომლის გულისთვისაც საფრანგეთი 30 თვეა ეწევა ომის ტვირთს, რომლის თავიდან ასაცილებლად მან თავის დროზე ყოველი საშუალება იხმარა, საფრანგეთი თავისდა უნებურად აჩება ომში არა ჰქონია არც დაპყრობის, არც გაბატონების ზრახვანი, მაშინ როდესაც მტერი არა ჰფარავდა თავისს მტაცებლობის მადას.

საფრანგეთს შემოესივნენ და იგი თავს იცავს. ყველა ფრანგები იზიარებენ ვილსონის სურვილებს, მაგრამ, რაც უნდა სანატრელი იყოს მისი განხორციელება შეუძლებელია დავენდოთ იმ სახელმწიფოს სიტყვას, რომლისათვისაც ხელშეკრულობა ქაღალდის ნაფლეთია. რომ გერმანეთმა ამ ომის შემდეგ ველარ შესძლოს ახლად თავდასხმა, მოკავშირე სახელმწიფოებმა უნდა მოითხოვონ ფორმალური გარანტია და უნდა დარწმუნდნენ, რომ თავის თავისი პატივისცემა აკისრებინეს, ჩვენ არ გადაუხვევთ 1914 წ. მკათათვეში განცხადებულს მიზანს, რომლის გულისათვისაც მზად ვართ კვლავ ახალი მსხვერპლი გავწიროთ. როდესაც მიზანი სავსებით იქნება მიღწეული, მაშინ შევუდგებით ევროპის მოწყობას იდეალურად, რაზედაც ვილსონი ლაპარაკობს. ღირსეულის პატივისცემით ვეკიდებით ვილსონის განცხადებას., მაგრამ ეხლა მისი წინადადების მიღება ვერ უზრუნველჰყოფს მტკიცე ზავის დამყარებას.

### გერმანულ გაზეთების აზრი.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: „ბერლინერ ტაგებლატ"-ის მთავარი რედაქტორი ვოლფი სიამოვნებით ეგებება ვილსონის ნოტას, როგორც წინასწარს ნაბიჯს ზავისაკენ და სწერს: „ყველა გერმანელები და მათი მომხრენი ვილსონში დაინახავენ არა იმდენად სიმპატიურს პიროვნებას, რამდენადაც სერიოზულს. პოლიტიკას სიმპატია-ანტიპატიასთან საქმე არა აქვს. არც ერთს პასუხისმგებელ პოლიტიკოსს არ შეუძლიან არ შეიწყნაროს ზავის ხმა, თუნდაც იგი ვა-

---

## ქებათა-ქება

### მეფე—სოლომონისა.

(შემდეგი იხ. „სამშ." № 507).

### თავი V

1 შეველ ბაღსა ჩემსა, სძალო,
და ვიყნოსე სურნელ-მური,
შევსვი ღვინო რძითა ჩემით,
თაფლით ჩემით ვჭამე პური.
იზეიმეთ მეგობრებო,
სვით, ილხინეთ, დაითვერით,
ვიხაროთ და ვილაღობოთ,
გავატაროთ ჟამი მღერით.

2 მძინავს, მაგრამ მარტოობა
ჩემს გულს აღარ ამძინარებს
ჰა, ხმა მესმის მეგობრისა,
მოუთმენლად მირეკს კარებს,
ოჰ, გამიღე მტრედო ჩემო,
სძალო ჩემო, მშვიდო, წყნარო,
ღელავს მკერდს ქვეშ გული მძლავრად,
მითხარ, როგორ დავამწყნარო?
თავი ჩემი მტვრით აღივსო
თმებს მეპკურა ღამის ცვარი,
მტრედო ჩემო, სძალო ჩემო,
ო, გამიღე ჩქარა კარი!

3 ტანთ სამოსი განვიძარცვე
ფერხთ წარვისვი სურნელება
და არ ძალმიძს მის შემწიკვლა,
კვლავ შემოსვაც მეძნელება.

4 სატრფომ ჩემმა არ მისმინა,
სარკმელშიგან მოჰყო ხელი,
და ავთრთოლდი მისი ნდომით,
განმეღვიძა სწრაფვა ცხელი.

5 აღვსდექ, რათა მიჯნურისთვის
მსწრაფლ განმეღო ჩუმად კარი
და ხელთა და თითთა ჩემთა
გადმოწვეთდა მურის ცვარი

6 კლიტესა და გასაღებსა
ეცემოდა მალ მალ მური
და საწოლსა ჩემსა დასდგა,
სურნელება საამური.
და განუღე მიჯნურს, მაგრამ
განმეშორა გულით მწყრალით
და ვეძებდი მახლობელსა
აოგზნეული ცეცხლის ალით.

7 ვეძებდი და ვერა ვპოვე,
ვეძახე,—ხმა არ მასმინა,
გული ნისლით ამოივსო,
ღაწვს ცრემლები დამედინა.
და ნაღველით ავსებული,
მინაცემი ფიქრთა მწველებს,
შევხვდი მცველებს ქალაქისას,
გარშემო შემოვლელებს.

8 მათ მცემეს და დამაწყლულეს
და სამოსი მომხსნეს ტანთა,
დამფარველი ჩემთა ზღუდეთ
და ვენახის ორ მტევანთა
ოი, ასულნო ერუსალიმის,
გაფიცებთ ვაშლით გაზაფხულითა
უკეთუ ნახოთ ჩემი მიჯნური,
უთხარ, რომ ვწყლულვარ სიყვარულითა!

9 უტურფესო ქალთა შორის,
ო, იყავი მის მთხრობელი,
რითი სჯობნის სხვა მახლობელს
ნეტავ შენი მახლობელი,
რომ უმისოდ ველარა სძლებ,
ასეთ ძლიერ ფიცის მთქმელი!

10 ო, ნუ მკითხავთ, ჩემს მახლობელს,
სიტურფითა ვინ ედაროს
თვით ათასში არჩეული
განაცუდოს, დაამდაროს.
მწყაზართ და წითურ ფერის
ვარდის მსგავსად სურნელთ მღვრელი,
მის ბაგეზე მზის ღიმილი,
დათამაშობს განუყრელი

11 თავი მისი წმინდა ოქრო,
ხოლო მისი თმათ ნაწნავი
მსგავსი დანაკისკუდისა
ვით ყორნის ფრთა, ისე შავი!

12 თვალნი მისნი მტრედისანნი,
რძეთა ზღვაში ბანაობენ
ბრწყინავენ და შუქურობენ,
როს წამწამნი ნანაობენ!..

13 ღაწვი მისი—ვით ფიალა
ნელსაცხებლის, სასურველი,
ღაწვი მისი, ვით მცენარე,
სურნელების გადმომღვრელი.
ბაგე—მსგავსი შროშანისა,
რომელს მოსწვეთს სურნელ—მური,
სიტყვა მისი, ხმა მზიანი,
როგორც მწყემსის სალამური,

14 ხელნი მისნი ოქროს რგოლნი,
ყვითელ თვლებით შეფოთვლილი,
სარო ტანი, ვით ფიცარი
სპილოს ძვლისგან გამოთლილი
საფირონის ძვირფას თვლებით
შენამკობ და შენაჭედი!

15 წვივნი მისნი მარმარილო,
თარშის ოქროს ზედა მდგარი,
მისი ხილვა ვით ლიბონი,
მისი ხილვა, ვით კედარი!

16 ტუჩი სავსე სიტკბოებით
და თვით ყოვლად საწადელი
ასეთია ო, ასულნო
ჩემი სულის მეხლობელი!

### თავი VI

1 ო, კეთილო დედათ შორის
სად წავიდა სატრფო შენი,
რომელი გზით განემგზავრა.
მზის სხივების უხვად მფენი?
—გვითხარი და შენთან ერთად
ჩვენც დავძებნით იმის კვალსა
გვითხარი და ყვავილებით,
მოვფენთ მყისვე მის სავალსა!

2 —ბაღსა თვისსა გაემგზავრა,
ჩემი სულის მახლობელი,
და ეწვევა ყვავილნარსა,
რომ შროშანი სურნელთ მღვრელი,
შეიტკბოს და შუბლი თვისი,
ყვავილებით დაიმშვენოს,
მწყსოს ბაღნარში უდარდელმა
და მზიურად განისვენოს!

3. მე ვეკუთვნი სატროს ჩემსა
ხოლო თვით კი, სასურველი,
სულსა ჩემსა აყვავილებს
შროშანთ შორის ნაზად მწყსველი!

4 კეთილი ხარ საყვარელო
ჩემო, როგორც სათნოება,
წარმტაცი და მიმზიდველი—,
ვით ნანატრი სიტკბოება,
ამაყი და საკვირველი—
ვით გაწვრთნილი ლაშქართ ჯარი
და სიტურფით—სახელ განთქმულ,
ერუსალიმს შესადარი!

5 მომარიდე, გევედრები,
შუქმფრქვეველი ეგ თვალები,
მათი ცქერა ცეცხლს მიკიდებს
ვიდაგები, ვიალები!
ვერვინ დასთვლის შენს ნაწნავებს,
შენს ქუჩუჩებს შავს, რიცხვ-მრავალს,
და შენი თმა თხის ავრეს. ჰგავს,
გალაადის მთით ჩამომავალს!...

6 კბილნი—ცხვრის ჯოგს გაკრეჭილსა,
საბანელსა შიგან მყოფსა,
სად ვერავინ ვერ იხილავს
ბერწს, სნეულს და ავათმყოფსა,
ხილვა შენი,—მშვენიერი,—
ვით პობილი ბროწეული.
ბაგე შენი მეწამული,

7 როს ღიმილით შუქმფრქვევლობ,
ლამაზ სიტყვათ არა მთქმელი
შავ ნაწნავებს, ნათელ სხივებს
ესვრის თეთრი საფეთქელი

8 არს სამოცი დედოფალი,
არს ოთხმოცი ქალი-ხასა,
არს მხევალი უთვალავი,
ლამაზი და ღაწვ ხასხასა,

9 მაგრამ მაინც სულ სხვა არის
სატრფო ჩემი, მტრედი, სძალი,
უტურფესი, უწმიდესი
სულის ცეცხლის ნაპერწკალი!
მასზე კარგსა ვერ დაჰბადებს
სხვა დედა და სხვა მშობელი

შინგტონიდან გაისმას, საჭიროა განვიხილოთ, თუ ვილსონის გამოსვლა რამდენად მისცემს საფუძველს პოლიტიკურ შედეგებისათვის. ვილსონს მოეხსენება, რომ მებრძოლ სახელმწიფოებს ერთგვარად არ მოსწონთ შუამავლობა, ამისთვისაც იგი მან დიდის სიფრთხილით შემოაღო კარი, რათა ხელი არ შეეშალა და აზრად არ მიეჩნიათ. ლლოიდ-ჯორჯის დაპირებული პასუხი ცენტრალ სახელმწიფოებს ჯერ არ მიუღიათ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ პასუხის დაგვიანება იმითაა გამოწვეული, რომ ლონდონსა, პარიზსა და პეტროგრადში წინდაწინვე იცოდნენ ვილსონის განზრახული ნაბიჯი და მის შესაფერად ჰსურდათ საპასუხო ნოტის შედგენა? ყოველ შემთხვევაში ვილსონის ხელის შეწყობას უნდა მივესალმოთ, რადგანაც ეხლა ზავზე მოლაპარაკება აღარ დასცხრება."

## ქ. ქუთაისი, 14 დეკემბერი.

ჩვენს ქალაქს სხვა უბედურებასთან ერთად დიდი სიმშილობა მოელის, პატრონი კი არსაიდან სჩანს.

ეჭვი არ არის, რომ მოწყობილ და ფხიზელ ქვეყანაში ხალხის პატრონებია მთავრობა, ქალაქისა თუ სოფლის მართველობანი, თვით ხალხისაგან არჩეული დეპუტატები და სხვადასხვა, მაგრამ ჩვენი ქვეყანა კი ჯერ ამდენად არ არის უფლება მოსილი, რომ თავის თავს თითონვე გაუძღვეს.

ის იძულებულია შეჰყუროს ბიუროკრატიას და ელოდეს დაუსრულებელ მიწერ-მოწერას ამა თუ იმ საქმის შესახებ.

თვეები, წლები გაივლის ხოლმე, ვიდრე ასა თუ ის საქმე გადაწყდებოდეს, ვიდრე ხალხის ხმა მიაღწევდეს ხოლმე ჯეროვანს განხორციელებას.

ასე ხდება მშვიდობიანობის დროს, ასევე ხდება ამ უსაშინელეს ომის დროსაც, როცა ყოველ საათს, ყოველ დღეს მოაქვს სულ სხვადასხვა ავი და შავი პირობები ცხოვრებისა!..

თუ მავნებელი და შეუწყნარებელია ჩინოვნიკური მოქმედება მშვიდობიანობის დროს, ასეთივე მოქმედება პირდაპირ დამღუპველია ქვეყნისა დღევანდელ არაჩვეულებრივ ყოფნის დროს.

და აკი აღარ ვიცით რა მოგველის ხვალ, ზეგ... აღარ ვიცით რათი გამოვკვებოთ უსუსური ბავშვები, რითი ვისულდგმულოთ ჩვენც! —

ქუთაისს სურსათი და, — რაც კი უფრო უმთავრესია — პური ელევა, და დღეს თუ არა ხვალ ლუკმა აღარ გვექნება.

ამ შემთხვევაში დიდი და დიდი საყვედურის ღირსია ქალაქის გამგეობა, რომ თავის დროზე არ იზრუნა ქალაქის დაპურებისათვის! — მაგრამ მას ერთი გასამართლებელი საბუთი აქვს, ეს ის, რომ იგი სულ თუ არა ნახევრად მაინც ბიუროკრატიული დაწესებულებაა და ემორჩილება მთავრობის ისეთს ორგანოებს, რომელთაც მცხოვრებთა ფიქრთალაღობა უფრო აინტერესებს, ვიდრე ხალხის გამოკვება!..

ხალხი, ამ შემთხვევაში ობიექტი კი არ არის მზრუნველობისა, იგი უბრალო მასალაა ბიუროკრტიის პირად გულისთქმათა განსამტკიცებლად და ყოველ გვარმა სამართლიანმა მოთხოვნილებამ ხმა უნდა ჩააწყვიტოს...

ასე ჰფიქრობენ ბიუროკრატები და ასევე იქცევიან კიდეც, მაგრამ ჩვენ, ხალხს, სიცოცხლე გვწყურიან, ჩვენ, ხალხი ვინახავთ დიდსაც და პატარასაც, და რაკი თავის დროზე ყურს არავინ გვიღგდებს, ჩვენვე უნდა ამოვიღოთ ხმა და მოვსთხოვოთ როგორც ადგილობრივ, ათავრობის ისე ქალაქის გამგეობას!

1) გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, რომ არავითარი სანოვაგე არ გაქონდეთ ქუთაისის გარედ ჩარჩულის მოსაზრებით:

2) ჩამოუარონ ყველა სავაჭრო დაწებულებათ და გაჩხრიკონ იგინი, აღმოაჩინონ გადამალული ფქვილი, შაქარი, მარილი, კართოფილი, საპონი და სხვადა სხვა პირველ საჭიროების საგნები, რომლებიც სიხარბემ კაცისამ და უნამუსობამ ჩარჩებისამ დაუმალა მცხოვრებლებს — რომ ერთი ასად გაყიდონ!

3) სასტიკად უნდა დაისაჯონ დამნაშავენი, საჯაროთ უნდა გაიწკეპლონ იგინი და საქვეყნოთ უნდა მოეჭრათ თავი.

4) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ნება მისცენ ადგილობრივ კოოპერაციებს ისარგებლონ ყოველ-გვარის უპირატესობით და მიენდოს მათ თაოსნობა სანოვაგის შოვნის და შემოტანისა ქალაქში.

5) შედგეს განსაკუთრებული კომისია, ბიურო, წრე — რაცა გნებავთ ის უწოდეთ — რომელიც იკისრებს ქალაქის გამოკვებას, თორემ დიდი უბედურება და დიდი სიმშილი მოგველის...

ნათქვამია: "გინდ მგელს შეუჭამივარ და გინდ მგლის ფერსაო", ხოლო მგელიცა და მგელის ფერიც რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მოქალაქეთაგან თავის თავის დაცვა. საჭიროა ყველა ძალების ამოძრავება — კარგების შეჯგუფება ხოლო ცუდების ალაგმვა და საჯაროდ გამათრახება.

მეტი გზა არა გვაქვს!..

მის სიტურფეს დაემონოს
თვით შურიც-კი ულმობელი!
ჰპოვეს იგი ქალწულთა და
ვერ ჰფარავდნენ ალტაცებას,
შეჰხაროდენ, ადიდებდენ,
კვლავ ეტყოდნენ ხოტბა-ქებას,
ხოლო მისგან მოხიბლული
ხასები და დედოფალნი,
შენატროდნენ მის სიტურფეს,
ვერ განეძლოთ ცქერით თვალნი;
10 ვინ არს ესე, შუქმფრქვეველი,
ვით ცისკარი მოელვარე?
სხივ-ნათელი ვით მზის თვალი
მშვენიერი, როგორც მთვარე
და ამაყი ვით ლაშქარი,
არჩეული დროშის მცველად
11 შთაველ ბაღსა ნიგვზოვანსა,
მოვიარე მინდორ ველად.
რომ გამეგო ყვავილნარში
თუ გაისმის ხმა გრძნეული,
თუ ამწვანდა ვენაჴები
თუ აყვავდა ბროწეული!
12 არა სცნობდა სული ჩემი
არ იცოდა რა ებედა
და დედოფლად ჩემი ერის
დიდებულთა ეტლთა ზედა.
განმაწესა სიყვარულმა
და მამშვენებს სატრფო ჩემი,
ვით ვარდის ფერ აღმოსავლეთს
მოცურავე ცეცხლის გემი.

გრ. მეგრელიშვილი.

(დასასრული იქნება)

## ქართველი გრიგორიანები

მაშასადამე, გვარტომობა, ასე ვსთქვათ, სისხლი, — აი ის საზომი, რომელიც სახეში აქვთ ხოლმე, როდესაც ამბობენ — ეს ამ ერის შვილიაო, ის კი იმისაო. ხოლო ამ საზომით თუ მივიღებთ, ჩვენ ერთს უეჭველს, უცილობელს ფაქტს აღმოვაჩენთ — საქართველოში ყოფილან ისეთი ქართველებიც, რომელთაც. სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა გარემოების ზედგავლენით, გრიგორიანობა მიუღიათ. თუ სარწმუნოება, როგორც ვსთქვით, ეროვნებას ვერ განსაზღვრავს, ამ ქართველების გრიგორიანობაც ხომ არაფრის დამამტკიცებელი. მაგრამ ეგებ ასეთი ქართველები ტომითაც სომხის გვარისანი არიან, როგორც ამას ზოგიერთი სომხური გაზეთი ამტკიცებს?

ასეთს ქართველ გრიგორიანებში ჩვენ ვხვდებით შემდეგ გვარებს — საყვარელიძეებს, ჩხეიძეს, აბაშიძეს, ნაკაშიძეს, ლოლაძეს, საგინაშვილს, გველესიანს, მუჩაიძეს, დუჩაიძეს, ქავთარაძეს, ლომიძეს, წერეთელს, ელისბარაშვილს, ვახტანგიშვილს, ოქროპირიძეს, მაისაშვილს, ავალიშვილს, მალადაშვილს, გორგაძეს, მაჩაბელს, ბარათაშვილს, ხუციშვილს, გძელიშვილს და სხვ. აბა თუ ვისმეს ჩვენს მოკამათეთაგანს შესწევს სითამამე დაგვიმტკიცოს ისტორიული თუ სხვა საბუთებით ხელში ამ გვარების არა ქართველობა! მე ვგონებ, ასეთი თამამი არავინ გამოჩნდება და თუ გამოჩნდება და იტვირთებს ამ ძნელს და ჩვენი ფიქრით, უიმედო საქმეს, — მით უკეთესი. ჩვენ დიდი ყურადღებით მოვისმენთ მის არგუმენტაციას და ჭეშმარიტების წინაშე ქედს მოვიხრით მორჩილებით.

მანამდი კი ნება მოგვეცით ჭეშმარიტებად ის ვაღიაროთ, რაც ჩვენთვის ცხადი და უცილებელია, რასაც ჩვენი ისტორიული საბუთები ადასტურებენ. მართალია, ქართული ლიტერატურა ქართველ გრიგორიანთა შესახებ არც თუ დიდი მოგვეპოვება, მაგრამ რაც არის აქა იქ გაფანტული ჩვენ პერიოდულ გამოცემებში, არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ არიან ეროვნებით ნამდვილი, ჭეშმარიტი ქართველები და რელიგიით ქრისტიანი, გრიგოლ პართელის ტიპიკონის მიმდევარნი ანუ, უფრო მართალი იქნება ვსთქვათ გრიგორიანთა ეკლესიაზე მიწერილნი. გამოთქმა „ტიპიკონის მიმდევარნი" ერნაირ შეგნებას, ერნაირ ცოდნას გულისხმობს ხოლო ეგრედ-წოდებულ ქართველი გრიგორიანთ ასეთი ცოდნა-შეგნება იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებენ, არ მოეპოვებათ სომხური ენის უცოდინარობისა გამო.

რომელია ის ისტორიული საბუთები რომელნიც გვეუბნებიან, რომ ყოფილან და არიან ქართველები, რომელთაც ძალით თუ ნებით სხვა და სხვა ისტორიულ გარემოებებში თავისი სჯული დაუტოვებიათ და გრიგორიანობა მიუღიათ?

ჩვენ ისტორიის წერას არა ვკისრულობთ და ვრცელი ისტორიული არგუმენტაცია მოკლე პუბლიცისტურ წერილში უადგილოც არის. საკმარისად მიგვაჩნია მკითხველთ მიუთითოთ მხოლოდ ზოგიერთს ასეთს საბუთებზე.

საქართველოს წარსულში იყო დრო, როდესაც სომხის სარწმუნოება თავის დაცვის ერთნაირი გარანტია იყო, ერთნაირი ჯავშანი, რომელიც განსაცდელში მყოფ ქართველს სიკვდილისაგან, ტანჯვაწამებისაგან იცავდა. აღა მაჰმადხანის დრო სწორედ ასეთი იყო. სპარსელები ამ დროს ქართველებს სდევნიდენ, როგორც პოლიტიკურ მტერს. სპარსელები სჯიდნენ ქართველებს სხვათა შორის იმიტომაც რომ ამ უკანასკნელთ თვალი ეჭირათ რუსეთისაკენ, სცდილობდნენ მის მფარველობის მოპოვებას და ამით საფრთხეს უმზადებდნენ სპარსეთს. სომხები კი თავისუფალნი იყვნენ ასეთი დევნისაგან რა გასაკვირველია, რომ ნაწილს ქართველებისას, მწარე ბედში ჩავარდნილს, ერთი საქრისტიანო მოძღვრება მეორე საქრისტიანო მოძღვრებაზე შეეცვალა და მტერს სომხად სჩვენებოდა, რათა ამ გზით სიცოცხლე შეერჩინა? და მართლაც, ასეთმა საშუალებამ ბევრი ქართველი იხსნა. ჩვენამდი მოაღწია წერილობითმა საბუთებმა, სადაც ჩამოთვლილია მრავალი ქართული გვარი, რომელთაც, ზემო აღნიშნულ მიზნით, გრიგორიანობა მიუღიათ. მაგრამ განა ეს ფაქტი სცვლის მათ ეროვნულ ფიზიონომიას? განა ეს ისტორიული გარემოება, რომელიც ჩვენს ახლობელს წარსულს ეკუთვნის აძლევს ვისმეს უფლებას სერიოზულად ამტკიცოს ამ გვართა ჰაიკისაგან შთამომავლობა, როდესაც ამათ დღესაც კი თითქმის ყველაფერი ქართული შერჩენიათ, სარწმუნოების გარდა?

და არა თუ სომხის სარწმუნოება, ყოველი სხვა საქრისტიანო მოძღვრება სპარსეთ-ოსმალეთის ბატონობის დროს უფრო მეტს პატივში იყო, ვიდრე მართლმადიდებლობა. რუსეთი რო აზიაში გაბატონებულიყო, ეს კარგს არაფერს უქადდა მუსულმანთა ქვეყნებს. ხოლო რუსეთის შემოყვანა ამ სახელმწიფოებში მხოლოდ საქართველოს შეეძლო. ამით აიხსნება ძლიერი გაავთრება, მთელი ძალების მიმართვა სპარსეთ-ოსმალეთის მხრით მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რაიც იმ დროს ქართველების სინონიმი იყო.

საზოგადოდ ომის ასეთს თუ ისეთს მსვლელობას გავლენა ჰქონდა, რომ ბევრი დამარცხებულთაგანი ძალდატანებას ემორჩილებოდა და თავის მამა-პაპათა სარწმუნოებაზე ხელს იღებდა გამარჯვებულთა სარწმუნოების სასარგებლოდ. მოწამებრივობა ხომ როგორც ყველგან, ისე ჩვენში, მხოლოდ იშვიათი გამონაკლისი იყო ყოველთვის!

გრ. გველესიანი.

(შემდეგი იქნება.)

## ახალი ამბავი.

შაბათს, 17 დეკემბერს, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დარბაზში, გაიმართება ლიტერატურულ მუსიკალური საღამო. საღამოს მთელი შემოსავალი გადაიდება ხსენებული სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

ამ ახლო მომავალში ქუთაისში გაიმართება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ, სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. საღამოს მუსიკალური განყოფილების მოწყობა უკვე დაევალა კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილს.

✦ ორშაბათს, 12 დეკემბერს, ქუთაისის ქართული დრამ. დასი გაემგზავრა ქალაქ ბათუმში წარმოდგენის გასამართავად.

✦ ომში დაჭრილ დასახიჩრებული ოფიცრები. უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი ქართველი დაჭრილი ოფიცრები: პრაპ. ივანე მოსეს ძე ჯორბენაძე, მ. ვ. სულხანიშვილი და გ. ი. მამულია.

✦ რედაქციამ მიიღო ორ კვირეულ-სალიტერატურო ჟურნალ „ცხოვრების" მორიგი (16) ნომერი. ჟურნალი შინაარსიანად და სუფთად არის გამოცემული.

✦ გუშინ, მომხ. საზ. „კოოპერაციის" წარმომადგენლები, სახ. გამგეობის დავალებით გაემგზავრენ სხვადასხვა ქალაქებში პურის ფქვილის შესაძენად. საზოგადოება ყოველგვარ ზომებს ხმარობს რათა შეიძინოს კარგი ღირსების პურის ფქვილი, რათა თავისი წევრები მაინც იხსნას იმ ნახევრად დამპალი პურისაგან, რითაც ამ ჟამათ ქუთათურები იკვებება.

✦ ს. ნატანებიდან გვატყობინებენ, რომ ახლო მომავალში იქ გაიხსნება უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რის ნებართვა უკვე მიუღია საზოგადოებას.

✦ საზ. „რეგულიატორის" გამგეობა, ქალაქის თვითმართველობის მინდობილობით უკვე შეუდგა სიმინდის ყიდვას და ამ დღეებში მიიღებს რამოდენიმე ვაგონს.

✦ ქალაქ ფოთში ახლად შეძენილი 9 ვაგონი პურის ფქვილი ქალაქის თვითმართველობამ უკვე მიიღო.

✦ უკანასკნელ ხანებში აქ მეტად გამრავლდნენ საპნის დამზადებლები. აღსანიშნავია, რომ ამ პირების უმეტესობა ერთობ უვარგის და ცუდი ღირსების საპონს ამზადებს და მიუხედავად ამისა ფასი კი ერთი ორათ მეტი მიაქვს, საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანც ჯერ არს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო, რათა სოფელ იანეუთში (ოზურგეთის მაზრა) დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „ლამპარი".

✦ ქუთაისის სასანიტარო კომისიამ სასანიტარო წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა: გიორგი ჩიკვაიძეს, მ. ბუზიაშვილს, ხაიმ იაკობიშვილს, ანნა ელიგულაშვილს, მიხეილ ბუზიაშვილს, მარიამ ბეგალოვს, მიხეილ ჩიკვაშვილს, არონ ციციაშვილს, უშანგი ოგანეზოვს, ვარლამ ჰილაძეს, თეთრა ფიჩხაძეს, მიხეილ კაკიტელაშვილს, მოშა თავდიდიშვილს, და მოშა პაპიაშვილს.

✦ ვინაიდან ქალაქის სასანიტარო კომისიას ზოგიერთი ვაჭრები წინააღმდეგობას უწევენ და არ ემორჩილებიან მათ დადგენილებას, ამის გამო ქალაქის სასანიტარო ექიმმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე რათა იშუამდგომლოს ქუთაისის გუბერნატორთან, რომ ასეთი პირები ამიერიდან დაჯარიმებასთან ერთად კანონის ძალით დასჯილიც იქნებიან.

✦ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით 3 თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს სოფელ ზოვრეთის (შორ. მ.) მცხოვრებს, აკაკი ვარდოსანიძეს ყაჩაღების დამალვისათვის. ერთი კვირით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს ადგ. მცხოვრებ გიორგი ტყეშელაშვილს ჯარისკაცისაგან შარვალის ყიდვისათვის. სამ-სამი თვე ციხე მიუსაჯეს აგრეთვე სოფელ ეკის (სენ. მ.) მცხოვრებს, ივანე გაგუას და სოფ. ზანას (ზუგ. მ.) მცხოვრებს, პეტრე ცოცორიას, ყაჩაღების გადამალვისათვის.

**გუბერ. კანცელარიის ცნობები.**

— სოფელ აბასთუმანში (ზუგდიდის მაზრა) 2 დეკემბერს, ღამის ორ საათზე ბოროტ გამზრახველებმა ცეცხლი გაუჩინეს ზ. ფარცვანიას სახლს, რაიც სრულიად დაიწვა. ზარალი 2210 მანეთამდეა.

სოფელ განარჯიით—მუხურში (ზუგ. მაზრა) 3 დეკემბერს ყაჩაღები თავს დაესხენ ხსენებულ სოფლის ღარაჯს აბსვანუას, დასჭრეს ის სასიკვდილოთ მუცელში და უგზო—უკვლოდ მიიმალენ.

— სოფელ ხუთაში (ზუგ. მაზრა) 30 ნოემბერს ვიღაც ბოროტ—გამზრახველმა დაუწვეს სახლი და სასიმინდე კონსტანტინე კირიას, ზარალი 2000 მანეთზე მეტია.

— დ. სამტრედიაში. ვაჭარ გიგო სამიაძეს, 19 ნოემბერს თავის დაესხენ ყაჩაღებია წაართვეს 210 მანეთი, უვადო ბაში ფორთი და მიიმალენ.

— სოფელ გადიდში (ქუთ. მაზრა) 23 ნოემბერს, 15 შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ ალექსი მეავანაძეს, ამბაკო, ალექსანდრე და ტარასი შავანგირაძეებს და წაართვეს პირველს 105 მანეთი, მეორეს 321 მან., მესამეს 150 მან. და მეოთხეს სხვა და სხვა ნივთები. ბოროტ გამზრახველნი მიიმალენ.

— სოფელ გელავერში (ქუთ. მაზრა) 12 ნოემბერს ტაროსი ღურჭუმელიას ს. გაბედავამ მოჰპარა 6 სული ხარი, ღურჭუმელა დააპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს.

## კავკასიის ქრონიკა.

**თფილისი.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ, თანხმად არტაანის განყოფილების თხოვნისა, დაადგინა: ქართული სკოლა დაარსოს არტაანის ოლქში. საჭირო ხარჯთაღრიცხვის შედგენა და იმ პირობათა გამორკვევა, რომელშიაც სკოლა უნდა გაიხსნას, არტაანისავე განყოფილებას მიენდო.

**გორი.** გუბერნატორმა გორის მაზრას დაუთმო ერთი ვაგონი შაქრის ფხვნილი. ამ ფხვნილს გაანაწილებს გორის სამეურნეო საზოგადოებებთან შემდგარი ბიურო კოოპერატიულ ორგანიზაციათა.

**დ. სამტრედია.** ადგილობრივ ვაჭრებს განუსაზღვრელი მადა აქვთ: 9 კაპ. ჩითს მანეთად ჰყიდიან; თექვსმეტ კაპეიკიან ფანელს ორ მანეთად. შალს თორმეტ მანეთად და ასე ყოველივეს. „ქვეყანა ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო". სწორედ ეს არის. ფეხსაცმელის ფასი 30 მანეთიდან 50 მანეთამდეა.

**თელავი.** ქალაქის ელექტრონი ქრება. ქუჩები წყვდიადშია. შაქრის დიდი ნაკლებობაა. კარგი ხანია ბრინჯი არ იშოვება. ახლა ჩამოიტანეს და გირვანქა 40 კაპ. ჰყიდიან.

**ტრაპეზონი,** 27 გიორგობისთვეს ტრაპეზონში, სადაც დასაფლავებულია იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონი, მისი სულის მოსახსენებლად, მხედრობამ პანაშვიდი გადახადა. პანაშვიდს ტრაპეზონის ქართველობა დაესწრო. პანაშვიდი ქართულად გადახადეს, გალობდა ქართული გუნდი. ფულიც მოიკრიფა და რაც ხარჯს გადარჩა, საქველმოქმედო საზოგადოებას გადაეცემა.

**ზუგდიდი.** შუამდგომლობაა აღძრული სამგან უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველო გაიხსნას. ერთი სოფელ ხიბულაში, მეორე სოფელ ზანაში და მესამეც — ხობში.

**ახალსენაკი.** ძმებმა სანიკიძეებმა უკვე მოაწყეს საელექტრონო სადგური და ამ მოკლე ხანში შეუდგებიან დაბის განათებას. ელექტრონი გაყვანილია ძმათა სანიკიძეთა თეატრსა და სასტუმროში, დაბის ზოგიერთ დაწესებულებაში და მთავარ ქუჩებზე.

## ქ. შ. წ. კ. გ. ს. წესდების შეცვლა

თფილისის გაზეთებმა ცნობა მოგვიტანეს, რომ 11 დეკემბერს იქ დაწყებულა წ. კ. გ. ს. კრება წესდების შესაცვლელად. კრება დიდ მნიშვნელოვანი უნდა

15 დეკემბერს, ხუთშაბათს მეორმოცე დღეს გარდაცვალებიდან

**ანასტასია (ნასტია) ალექსის ასული ვარდან[illegible]**

გოჭოურის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება [illegible]შვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე ზაქარია (ჭიჭიკო) გრიგოლის ძე შვილი შალვა ზაქარიას ძე მაზლი ილია გრიგოლის ძე ვარდანოშვილები ძმები ივანე და შტაბ როტმისტრი იოსებ ალექსის ძე ბაბუნაშვილები სიძეები ნადვორნი სოვეტნიკი ნიკოლოზ როსტომის ძე მაღრაძე და ალექსანდრე ივანეს ძე მოკრიკოვი თავიანთი მეუღლეებითურთ, წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს, რადგან ამ საზოგადოებას ღრმად აქვს გადგმული ჩვენში ფესვები და დიდი სახალხო დაწესებულებაც არის.

ეს საზოგადოება აქამდე მარტო წერა-კითხვის გავრცელებას ემსახურებოდა, ახლა, ახალი წესდების ძალით, მისი დანიშნულება ცოტა იცვლება. დასახულია: „ხელი შეუწყოს წერა-კითხვასა და ხალხისთვის სასარგებლო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნათა გავრცელებას“.

საზოგადოების ეს ახალი დანიშნულება ორ ნაწილად იყოფა; ერთათ საზოგადოებაშ იმ ძველი გზით უნდა იაროს, რომლითაც აქამდე დადიოდა: ე. ი. უნდა ეცადოს წერა-კითხვის გავრცელებას და ამ მიზნისთვის მან უნდა დააარსოს სკოლები, წიგნთ-საცავები, სამკითხველოები და სხვა ხოლო მეორე მხრივ საზოგადოება უნდა შეეცადოს „ხალხისთვის სასარგებლო თეორიული და პრაქტიკული ცოდნათა განვითარებას“.

თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ყველა დარგიდან შეიძლება მიეცეს საზოგადოებას და, მაშასადამე, საზოგადოებას მოქმედებისთვის ფართო, განუსაზღვრელი სარბიელი ეშლება

ამგვარი თავისუფლება იმედებია, რომ გამგეობაში არჩეულნი პირნი თავიანთ შემოქმედებით ძალას უფრო ადვილად გამოხატვენ და მით უსაზღვრო ნდობასა და კავშირს ჩააგდებენ საზოგადოებასა და ხალხ შორის.

ქ. შ. წ. კ. ს. პირმშო შვილია საქართველოსი და ნუ ინებოს ღმერთმა, რომ მას საიდგანმე რამე ჩირქი მოეცხოს. მან უნდა, იცოცხლოს და უნდა იყოს შემაერთებელი სამშობლოს დემოკრატიულ ძალთა.

შემთხვევით დაკნინებული საქართველო ერთხელაც იქნება აყვირდება და მადლობით მოიხსენიებს, ყველა იმათ ვინც თავის შრომასა და გარჯას არ დაზოგავს მისი ბედნიერებისათვის!.

რაც შეეხება აუცილებელ ცვლილებებს არჩევნებში და საქმეთა წარმოებაში იმედი გვაქვს საზოგადოება ყოველ ხერხს და უნარს იხმარს, რომ საქმე საუკეთესოდ მოეწყოს, რომ მასში არ შევიდეს არავითარი კლასობრივი და პარტიული დაყოფა. საზოგადოება საქართველოს ერთ სულსა და გულს უნდა წარმოადგენდეს. რაოდენად ჩვენი დაყოფა საჭიროა პოლიტიკური კითხვების გათვალწინებაში და მათ გადაწყვეტაში, იმდენად საზარალოა იგი სწავლა განათლების გავრცელების საქმეში.

ჩვენი სურვილია, რომ საქართველოს ამ დედა ბოძის საქმეში, ე. ი. ქ. შ. წ კ. გ. ს. საქმეთა წარმოებაში, იხატებოდეს ერთი აზრი, ერთი მისწრაფება, ერთი მაჯისცემა და ყველა ქართველი, მოეპყრას მას როგორც ერის ტაძარს, მის სიქადულს, მის წმიდათა წმიდას!

პ. ივლიტელი.

## პატარა წერილები.

XI

კაი ხანია სამღვდელოებას ნება აქვს მიცემული ერთად თავი მოიყაროს და საჭირბოროტო კითხვებზე სჯა ბაასი გამართოს ხოლმე.

ჩვენი სამღვდელოება ასეთ თავყრილობას ყოველ წლობით უკლებლად მართავს, მაგრამ ნამდვილ საჭირ-ბოროტო კითხვების განხილვა ერთხელაც არ წამოუყენებია და მისი გაშუქებისათვის შრომა და ჯაფა არ მიუღია თავის თავზე. მართალია სამღვდელოების ყრილობამ ის უნდა განიხილოს, რასაც სათანადო ადგილობრივი მთავრობა წარმოუდგენს, მაგრამ ნუ თუ ესეც მთავრობა ისეთი საკითხის განხილვის წინააღმდეგ წავა, როგორიც სარწმუნოების და ზნეობის დაცემა ჩვენში და ან ზოგიერთა უზნეო ჩვენი მოძმეების ყოფა-ქცევის განხილვაა?

თეფიციალური კითხვების განხილვის შემდეგ ჩვენ ჩვენი სამღვდელოება გაქცევაზე არის!

ჯერეთ არ ყოფილა მაგალითი, რომ ან ქართლ-კახეთში, ან იმერეთში და ან გურია-სამეგრელოში სამღვდელოების წარმომადგენლებს პირდაპირ დაეყენებიოსთ კითხვა, თუ როგორ უნდა უშველოს დაცემულ სარწმუნოებას და ზნეობას. ყველანი ჩვენ უმწეო ნივთიერ მდგომარეობაზე ვყვირით. ვიცით და გავიგეთ, რომ უმწეონი და ღარიბნი ვართ, მაგრამ რატომ არ გვინდა მისი გაგებაც, რომ სანამ ქართველ ხალხში ჩვენ ცხოველ-მყოფელ ქრისტეს სარწმუნოებას არ აღვადგენთ და არ ავამაღლებთ, მანამდის სულ ღარიბნი ვიქნებით ჩვენ ნივთიერ მდგომარეობას ორი საქმე უშველის: დაცემული სარწმუნოების აღდგენა და ჩვენი სამწყსოს სოციალური პირობების მოგვარება. სხვას მხოლოდ ის დაარწმუნებს, ვისაც თითონ აქვს მტკიცე რწმენა. მაშ ჩვენ თუ ჩვენ ხალხში სარწმუნოების გამოკეთება და აღდგენა გვინდა, პირველად ამ ნიადაგზე პირადად ჩვენი თავი უნდა გამოვასწოროთ.

სამღვდელოების მომავალი კრება მაინც შეასწორათ საჭირბოროტო კითხვების განხილვას, მაგრამ არა მწამს, რომ ეს ასე მოხდეს, იმიტომ რომ ამ კრებამ უნდა გაანაწილოს სამღვდელოების კრებულთა შორის ის ულუფა, რომელიც ავტოკეფალიის ნაცვლად ზევიდან „გვიწყალობეს“ და ამ განაწილებას თუ რა აურზაური მოჰყვება, ეს აქედგანვე ვიცით და ეს საკითხი უსათუოდ ჩაუდაპავს ყველა სხვა ჩვენი სამშობლოს საჭირბოროტო რეალურ საკითხებს. მე კი ასე მოვახსენებ პატივცემულ სამღვდელოებას: მდიდარი და ქონებრივად ძლიერი ჩვენში არავინ არ არის ამისათვის ნაბოძები „წყალობა“ ძმურად და თანაზიარად გავიყოთ. ასეთი მოქცევა კაი მაგალითს მისცემს იმ ჩვენ სულიერ შვილებს, რომლებიც ჩვენ გაუმაძღარს გვეძახიან, მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ დაგრდომილი და დაავადმყოფებული ჩვენი ძმები და ქვრივ-ობლები, როგორც სასულიერო წოდებისა, აგრეთვე, რასაკვირველია, საერო წოდებისაც, რომლებთაც ამ ულუფაში მონაწილეობა არა აქვთ, დევე, დაუმტკიცოთ ხალხს, რომ ჩვენ თუ ნამდვილად ქრისტეს მოციქულები არა, მათი მიმბაძველნი მაინც ვართ.

მ. ბუაჩიძე.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. დიდი ჯიხაიში** აქ საქონლის ჭირი მძვინვარებს და სოფელი განადგურების გზას ადგია. ხალხს მარჩენალი ძროხა და ხარი ხელიდან ეცლება, დამხმარე კი არსაიდან სჩანს. მთავრობამ ორი ბეითალი გამოგზავნა მათ 2200 სულ საქონელს აუცრეს ჭირი, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ აცრილებიც იხოცებიან. ალბად აცრა არ შველის, ფრიად სამწუხარო სურათია, როდესაც სასოფლო კანცელარიაზე ყველა მხრიდან მოყავთ მომაკვდავი საქონელი. და ტირილ-მუდარით ეხვეწიან ბეითლებს.

— **სოფ. შემოქმედი.** პირველი მოთხოვნილების საგნები თანდათან იძვირებს. ფასები ერთი ორად მატულობს. გირვანქა პური 18—20 კ. ღირს. მართალია კოოპერატივი „ეკონომია“ არსებობს, მაგრამ თითქმის თვეზე მეტია, რაც პურის ფქვილი და შაქარი გამოილია. გასაყიდი სიმინდი სულ არ იშოვება. სიმინდის მოსავალი წელს გურიაში შედარებით კარგი იყო, მაგრამ ვისაც გასაყიდი აქვს, ის ჩარჩ ვაჭარივით ფუთს 2—50 კ. 2—60 კ. აფასებს. კარგი იქნება აქაური წვრილი კრედიტის ამხანაგობის გამგეობა შეიძინდეს ამ თვიდან სიმინდს ზაივხულისათვის და მით საშუალებას მისცემდეს აქაურ მცხოვრებლებს. მოსალოდნელია შიმშილობა.

— **ჩოხატაური.** 26 ნოემბერს ადგილობრივ თეატრში ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა საღამო. კარპეზ ბერიძემ წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის და მისი პოეზიის შესახებ რეფერატი. შემდეგ ქ. ე. კალანდაძემ წაიკითხა „სიყვარული ბარათაშვილის პოეზიაში“. მან საუცხოოთ გაარკვია, თუ როგორ უყურებდა ბარათაშვილი სიყვარულს.

**საჩხერე.** ჩვენი კუთხე ბნელეთშია გახვეული. აქეთ ძლიერ მისდევენ მავნე ზნე-ჩვეულებას—მკითხაობას. მკითხავებთან აუარებელ ხალხს ნახავთ: ქალს, კაცს, ბავშს, მოხუცებულს. ყველა ისმენს წინასწარმეტყველებას და აძლევს 20—30 კაპეიკს. საჭიროა სოფლის მოწინავე პირებმა მიაქციონ ამას ყურადღება

— **მოლითი.** აქ ნოემბერში მოხდა მომხმარებელი საზოგადოების „იმედის“ წევრთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 200-მდი წევრი. თავმჯდომარემ კოოპერატივის მნიშვნელობა დაუსურათა. შემდეგ გააცნეს საზოგადოება „იმედის“ შემოსავალ-გასავლის ანგარიში. გამგეობას წლის განმავლობაში 20,000 მანეთის საქონელი გადაუბრუნებია და წმინდა მოგება 1000 მანეთი დარჩენია. საზოგადოებამ გამგეობისათვის დიდი კმაყოფილება და ნდობა გამოუცხადებია.

## რუსეთი

9 დეკემბერს, მოსკოვის ქალაქის გამგობის შენობაში, სადაც სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ყრილობა იყო მოწვეული, პოლიციმეისტერი მივიდა პოლიციელებით და კრებაზე მოსულთ განუცხადა, რომ ყრილობის მოწვევის ნება არ მისცეს ქალაქთა კავშირს. დელეგატები წავიდ წამოვიდნენ; პოლიცია იქ დარჩა და ვინც კი მოვიდოდა ყველას ერეკებოდა.

— კიშინიოვის საგუბერნიო სამმართველოს გერმანეთის ქვეშევრდომთა 7,600 დესიატინა მამული გაყიდა; სულ ღირდა 1,600,000 მან. მთელი ეს მამულები საგლეხო ბანკს უყიდნია.

— სწავლა განათლების სამინისტრომ ნება რთვით დორპატის უნივერსიტეტში დაარსდა პრაქტიკულ ღვთის მეტყველების ფაკულტეტი პოლონურ ენაზე.

— ფინანსთა მინისტრს ბარკს წინადადება მიუცია სახ. სათათბიროსათვის ნება დართონ სამინისტროს 3 მილიარდ მანეთის სესხიან ქაღალდები კიდევ გამოუშვას აქნობამდე გამოშვებულია სულ 5 მილიარდისა და 2 მილიონ მანეთისა.

## უცხოეთი.

პოლონეთში დაარსებულა „განთავისუფლებულ პოლონეთის ქალაქთა კავშირი“, რომლის მიზანიც სამოქალაქო ცხოვრების წინ წაწევაა.

— ამ ჟამად საფრანგეთში მრავლად არის ეგრედ წოდებული ფერად კანიანი ხალხი. აქ შეხვდებით ალჟირისა და ტუნისის მავრებს, ეგვიპტის ფელლახებს, ტრიპოლისის არაბებს, ყვითელ კანიან ჩინელებს, ყავის ფერ კანიან ამერიკელ კრეოლებს და შუა აფრიკის ზანგებს. ეს უცხო მიწის შვილები, რომ არ ყოფილიყვნენ საფრანგეთში მოწვეულნი, წელს საფრანგეთში ჰირნახული ვერ იქნებოდა მოკრებილი. უცხო მუშა ხელი დიდ როლს თამაშობს საფრანგეთის მრეწველობის განვითარებაში. როგორც სჩანს ყველა ეს ზანგები, არაბები, კრეოლები და სხვანი ომის შემდეგაც ჯერ კიდევ დიდ ხანს დასჭირდება იგი სისხლით დაცლილ საფრანგეთს. მით უმეტეს საჭირონი იქნები ან ეს უცხოელნი, რომ საფრანგეთის მთაერობამ მრავალი ქარხანა ეხლავე მოამზადა ომის შემდეგი დროისთვის საჭირო საქონლების დასამზადებლად და, როგორც კი შესწყდება ომი, მაშინვე გაშლის ფრთებს საფრანგეთის მრეწველობა და ეცდება თავის, შინაურ ბაზარზე მაინც გაუწიოს გერმანეთის მრეწველობას მეტოქეობა.

— ბერლინიდან იტყობინებიან გერმანიის საიმპერიო საბჭოს დაუგმია დაარღვიოს ის ხელშეკრულებანი, რომლებიც დაიდო ერთის მხრით გერმანიასა და მეორეს მხრით ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის შორის ომამდე.

— ირლანდიის ნაციონალისტთა ბელადს რედმონდს ინგლისის თემთა პალატაში სიტყვა წარმოუთქვამს. მას აღუნიშნია ის უმოქმედობა, რომელსაც ლლოიდ ჯორჯი ირლანდიის დაპირებულ ავტონომიის განხორციელების საქმეში იჩენს. რედმონდს პალატა დაურწმუნებია, რომ ლლოიდ ჯორჯის კაბინეტის გულცივად მოპყრობამ ირლანდიისადმი, გაჰფანტა მოკავშირეთა საერთო საქმით აღფრთოვანება, არა მარტო ირლანდიაში, არამედ ამერიკის ახალშენებშიაცაო. რედმონდი ურჩევს პალატას ჯარში გასასვლელად ძალას ნუ დაატანენ ირლანდიელებს და ირლანდიის ავტონომიის განხორციელება ამაზე არ უნდა იყვეს დამოკიდებული, თუ რამდენად მეტი მეომარი მისცა ირლანდიამ მოკავშირეებს.

— რადგანაც ბოლო დროს მრავლად იწვევდნენ შეთანხმების სახელმწიფოები ჩინეთის კულიებს (შავი მუშა), და ამის გამო მუშა ხელი თვით ჩინეთში თანდათან ძვირდებოდა, ჩინეთის მთაერობას აუკრძალავს ჩინეთიდან მუშების გაწვევა

— გერმანიაში სიყოველთაო შრომის ბეგარამ ფართე ხასიათი მიიღო. სავალდებულო სამუშაობებზე უკვე გაჰყავთ ათასობით მამაკაცები. ამ საქმის თავოსანს და გამგებელს გენერალ გრენერს გადაუწყვეტია შრომის ბეგარა ქალებისათვისაც სავალდებულო გახადოს. დაარსებული იქნება განსაკუთრებული საბეგრო საბჭო, რომლის წევრები და თავმჯდომარედ სულ ქალები იქნებიან.

— ინგლისელთათვის, როგორც ეტყობა, დიდ საფრთხეს წარმოადგენს წყალქვეშათა თარეში. ამას წინად ფრიად გავრცელებულმა გაზეთმა „ტაიმსმა“ გაზეთის ფორმატის შემცირებას ფასის მომატება არჩია. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია შეგნებულ წრეებში და „ტაიმს“ უკიჟინეს, რომ მაშინ, როდესაც საქონლის შემოზიდვა ასე შემცირდა, უკეთესი იქნებოდა იმ აუარებელ ქაღალდის მაგივრად რომელიც გაზეთის მეტ ფურცლებს უნდება ხორბალი შემოეტანათ.

## ვაჭრობა მრეწველობა.

სიძვირესთან საბრძოლველად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგინალური პროექტი შეუმუშავებია: ყოველი მოვაჭრე მოვალეა საქონელზე ზედ აღნიშნოს არა მარტო გაყიდვის ფასი არამედ ისიც, თუ რამდენად უყიდნია. ამ წესის დარღვევისათვის მოვაჭრეებს მოელით დაჯარიმება და სხვა სასჯელი.

— გერმანეთის ქვეშევრდომთა კონებისს სალიკვიდაციო კომიტეტს საჭიროდ არ უცვნია „ვოგაუ და ამხ“ ის ქონების გაყიდვა.

— ქვანახშირისა და სხვა და სხვა მადნეულობის ამოღება დამუშავებას რა მნიშვნელობაცა აქვს ომის საწარმოებლად-ეს ცხადია ყველასათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთში ძალიან ფერხდება მისი დროით მიზიდვა სამხედრო ქარხნებში. მაგალითად სამხრეთ რუსეთის სამრეწველო რაიონს წელს ორჯერ მეტი მიუცია ქვანახშირი და რკინეულობა, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ ჩვეულებრივმა უწესრიგობამ ამ სფეროშიაც იჩინა თავი. რკინეულობას თუ ამ ჟამად ორჯერ მეტს ამუშავებენ, სამაგიეროდ რკინიგზის სხვა და სხვა სადგურებზე და საწყობებში გაუზიდავი წელს სამჯერ მეტი დარჩენილა ვიდრე შარშან. ეტყობა სამხრეთ რუსეთის რკინიგზის მმართველობას კარგად შეუგნია დევიზი: „ყველაფერი ომისთვის და ომი ბოლომდის!“

— ფართლეულობის ცნობილ ფირმას „ნ. უღალოვი, ი. ვავილოვი და ამხ.“-ს წელს მოგებად 414, 559 მ. დარჩენია. აქედან სახელმწიფო გადასახადში 152, 305 მან. წასულიათ, მსახურებისათვის ჯილდოს სახით 40,000 მან. დაურიგებიათ, ხოლო 200,000 მან. აქციონერებს რგებიათ დივიდენდათ, თითო აქციაზე 10 პროცენტი დარჩომილა სარგებლად. დაახლოვებით ასეთივე გულუხვი შემოსავალი ჰქონიათ ფართლეულობის სხვა მრეწველებსაც.

— რადგანაც რუსეთის ბაზარზე მაუდი და შალი ერთობ შემცირდა, ამას წინად რამდენიმე სავაჭრო დაწესებულებამ, სხვათა შორის ამიერ კავკასიიდანაც, გადასწყვიტეს ეს საქონელი ამერიკიდან გამოეწერათ. როგორც ეხლა ირკვევა ეს შეუძლებელი იქნება. გარემოებას ის ართულებს, რომ გერმანელთა წყალქვეშათა შიშის გამო ამერიკელი სოვდაგრები საქონლის დაზღვევას ვერა ჰბედავენ და არც იქაური გემის პატრონები იღებენ ტვირთს ატლანტიის ოკეანეზე გადმოსაზიდათ.

— ომამდე შვეციიდან ასანთის შემოზიდვა აკრძალული იყო; მხოლოდ ომის დაწყებისას მთავრობამ ნება დართო 1917 წლის პირველამდე საზღვარ გარეთიდან შემოეზიდათ ასანთი, რაც შედარებით უფრო იაფი ჯდება რუსეთის ქარხნების ასანთზე: როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან, ეს ვადა მომავალი წლის 1 ივლისამდე გაუგრძელებიათ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ უახლოეს ნუმერში თქვენი გაზეთისა შემდეგი წერილი; რადგან ქ. პელაგია ლორია ავრცელებს ჩემს შესახებ ხმას თითქოს მე არ ვიყო თანახმა ჩვენ შორის ატეხილ უთანხმოების გამოსარკვევად სამედიატორო წესით გარჩევისა, ამიტომ ვაცხადებ პ. ლორიას საყურადღებოთ, რომ მე თანახმა ვარ გავუშვათ სამედიატორო სამართალში და დაასახელოთ თქვენი მედიატორები ერთი კვირის ვადაში.

ვასო ჭითავა.

---

რედაქტორი **ი. ციციაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**

---




**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 18 | „ |

---

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს**
მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

---

**დოქტორი მედიცინისა**
**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**
ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ავი სენი.**

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ **ექ. დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, სხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი სხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს სხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გემსა და სხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშავის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)